

ართვინ–ბოლნისის ზონის პალეოგენური ნალექების იქნოლოგიური შესწავლა

კახა კოიავა

kakha.koiava@tsu.ge

გეოლოგიის დეპარტამენტი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
უნივერსიტეტის ქ. 13

ალგეთის ხეობის მარჯვენა ბორტზე, სოფ. წინწყაროს დასავლეთით გაშიშვლებულია ყვითელი და მომწვანო ნაცრისფერი მერგელოვანი თიხები, მსხლმარცვლოვანი კვარციანი ქვიშაქვებით და კონგლომერატების ლინზებით, რომლებიც ნუმულიტების მდიდარი ფაუნით ქვ. ეოცენურად თარიღდება (ი. კაჭარავა, ნ. მრევლიშვილი და სხვ. 1959).

მერგელოვა თიხებში ჩვენს მიერ დადგენილია სამარხი ნაკვალევების შემდეგი იქნოგვარების: Chondrites, Ophiomorpha და Thalasinoides წარმომადგენლების არსებობა.

Ophiomorpha და Thalasinoides დამახასიათებელია მარჩხი ზღვის აუზებისათვის, ხოლო Chondrites მიუთითებს დაბალ ოქსიგენურ გარემოზე.